ბურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*23 Ekim / ოქტომბერი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 0.7% |

**Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı'nın Çin'e Çalışma Ziyareti**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამუშაო ვიზიტი ჩინეთში**



Gürcistan Başbakan Yardımcısı Levan Davitashvili ile Çin Ticaret Bakanı Yardımcısı Ling Ji'nin eşbaşkanlığıyla Beijing'de Gürcistan-Çin Ticari ve Ekonomik İşbirliği Ortak Komisyonunun 8. Oturumu gerçekleştirildi.
Komisyon eşbaşkanlarının konuşmalarında belirttikleri gibi, toplantı ülkeler arasındaki ikili ilişkilerin yeni bir aşamaya geçmesine, ekonomik işbirliğinin derinleştirilmesine ve farklı farklı sektörlerde ortaklık kurulmasına destek verecektir. Komisyon oturumunun gündemine göre, taraflarca geniş yelpazeli konular ele alınmıştır, mesela: serbest ticaretin derinleştirilme perspektifleri, ticari ekonomik alanı, yatırım bağlantıları, tarım, ulaştırma, lojistik ve altyapı, bilişim teknolojileri ve yenilikler, turizm vb.

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Çin tarafına Gürcistan ekonomisinin mevcut durumunu, dinamiği ve istatistiksel verileri kısaca anlatıp farklı farklı sektörlerde devam eden reformlara değindi. Davitashvili: "Ülkelerimiz arasındaki verimli ve başarılı ilişkiler ikili ticaretin istatistiklerine de aynı şekilde yansıyıp 2023'ün 8 aylık verilerine göre ticaret cirosu açısından Çin %7.8 hissesi ile Gürcistan'ın en büyük ticari ortakları arasında 4. sırada yer almaktadır. Gürcistan kurumsal ve yapısal reformları yaparak iş için elverişli, liberal vergi sistemi ve efektif hukuki çerçeveyi kurmuş oldu. Yatırım ortamı ve iş yapma kolaylığı açısından Gürcistan dünyanın en cazip ülkelerinden biri olarak kalmaya ve doğrudan yabancı yatırımları çekmek için çalışmaya devam ediyor. Hükümetimizin talebi daha çok Çin firma ve yatırımları çekmektir" şeklinde konuştu.

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Çin ziyareti kapsamında Çin Halk Cumhuriyeti Ticaret Bakanı, Wang Wentao ile görüştü. Toplantıda iki ülkenin ekonomik işbirliğinin öncelikli alanları görüşüldü. Kuşak ve Yol Girişimi kapsamında Gürcistan ile Çin arasındaki ikili işbirliğinin eylem planı ve 2023'ün Temmuz ayında Gürcistan Başbakanı'nın Çin ziyareti esnasında imzalanan işbu eylem planının uygulanması konusuna özel dikkat çekildi.
Görüşmede iki ülke arasında imzalanan serbest ticaret anlaşmasının yürürlüğe girdikten sonra Çin ile ticari ekonomik ilişkilerinin ilerlemesine değinip anlaşma yürürlüğe girmesinden 5 sene sonra Çin ile

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Gürcistan arasındaki ticaret istatistiğinin önemli ölçüde değişim gösterdiğini belirtildi. Bilhassa 2022 yılında 2017 yılına kıyasla ticaret cirosu %94, ihracat %265 artarak 736.9 milyon ABD doları oluşturdu, ihracat yapısı da önemli ölçüde değişip Çin tüketici piyasasında Gürcistan'dan yeni ihraç ürünleri ortaya çıktı.

Bakanlar aynı zamanda anlaşmanın her iki ülkeye daha çok yarar getirebileceğine vurgu yaptılar.
Bununla birlikte Çin'e Gürcü şarabının ihraç edilmesi konusu dikkate alınıp Çin pazarının Gürcü şarap endüstrisi için en cazip ve en öncelikli pazarlardan biri olduğunu ifade edildi.
Şu anda Çin'de faaliyet gösteren 40'a yakın Gürcü şarap dükkanı, mağaza ve salonun bulunduğunu söylendi, şarap ihracatı ise yaklaşık 90 Gürcü şarap şirketi tarafından yapılmaktadır.
Gürcü tarafına göre, Çin'de Gürcü şarabının tanınırlığı ve satışları arttırmak amacıyla Çinli pazarlama ve şarap dağıtım firmaların tespit edilmesi şarttır.
Toplantıda ülkeler arasında ulaştırma ve lojistik, enerji, turizm ve sivil havacılık gibi temel sektörlerdeki ilişkileri ele alındı.



საქართველოს ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილისა და ჩინეთის კომერციის მინისტრის მოადგილე ლინგ ძის თანათავმჯდომარეობით პეკინში საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-8 სხდომა გაიმართა.
როგორც კომისიის თანათავმჯდომარეებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, შეხვედრა კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და პარტნიორობას სხვადასხვა სექტორული მიმართულებით.
კომისიის სხდომის დღის წესრიგის თანახმად, მხარეთა მიერ განხილულ იქნა საკითხების ფართო სპექტრი: სავაჭრო-ეკონომიკური სფერო, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავების პერსპექტივები, საინვესტიციო ურთიერთობები, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინოვაციები, ტურიზმი, და სხვა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ჩინეთის მხარეს მოკლედ გააცნო საქართველოს ეკონომიკის არსებული სურათი, დინამიკა და სტატისტიკური მონაცემები, მან ასევე ისაუბრა სხვადასხვა დარგში მიმდინარე რეფორმებზე.
„ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ნაყოფიერი და წარმატებული ურთიერთობა შესაბამისად აისახება ორმხრივი ვაჭრობის სტატისტიკაზე. 2023 წლის რვა თვის მონაცემებით სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ჩინეთი იკავებს მე-4 ადგილს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის 7.8%-იანი წილით. საქართველომ გაატარა ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმები და შექმნა ბიზნესისთვის ხელსაყრელი, ლიბერალური

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING



საგადასახადო სისტემა და ეფექტური სამართლებრივი ბაზა. საინვესტიციო გარემოსა და ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით საქართველო რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ქვეყანად და აგრძელებს მუშაობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ჩვენი მთავრობის დიდი ინტერესია, მოიზიდოს მეტი ჩინური კომპანია და ინვესტიცია საქართველოში“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის მინისტრ ვანგ ვენთაოს შეხვდა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ჩინეთს შორის სარტყელისა და გზის ინიციატივის ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის სამოქმედო გეგმისა და მისი განხორციელების საკითხზე - აღნიშნულ გეგმას ხელი 2023 წლის ივლისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის დროს მოეწერა. შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ჩინეთთან სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ამოქმედდა.

აღინიშნა, რომ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდგომ, ჩინეთისა და საქართველოს ვაჭრობის სტატისტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, 2022 წელს, 2017 წელთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 94%-ით, ექსპორტი კი 265%-ით გაიზარდა და 736.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა ექსპორტის სტრუქტურა და ჩინეთის სამომხმარებლო ბაზარზე საქართველოდან ახალი საექსპორტო პროდუქციები გამოჩნდა. ამავე დროს, მინისტრებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ შეთანხმებას მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ორივე ქვეყნისთვის. ასევე გამახვილდა ყურადღება ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის საკითხზე. აღინიშნა, რომ, ჩინეთის ბაზარი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული და პრიორიტეტულია ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის.

ითქვა, რომ ამჟამად ჩინეთში 40-მდე ქართული ღვინის სახლი, მაღაზია და სალონი მოქმედებს, ხოლო ღვინის ექსპორტს 90-მდე ქართული ღვინის კომპანია ახორციელებს. ქართული მხარის ინფორმაციით, მნიშვნელოვანია ჩინეთის მარკეტინგული და ღვინის სადისტრიბუციო კომპანიების იდენტიფიცირება ჩინეთში ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების გაზრდის მიზნით. განხილულ იქნა ქვეყნებს შორის ურთიერთობები ისეთ საკვანძო სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი და ლოგისტიკა, აგრეთვე ენერგეტიკა, ტურიზმი და სამოქალაქო ავიაცია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Temmuz-Eylül Aylarında Gürcistan Sınırını En Çok Rus Vatandaşları Geçti

ივლის-სექტემბერში საქართველოს საზღვარი ყველაზე ხშირად რუსეთის მოქალაქეებმა გადაკვეთეს



İçişleri Bakanlığınca 2023'ün 3. çeyreğine ait sınır geçişi verileri yayınlandı. Resmi verilere göre, Temmuz-Eylül aylarında Gürcistan sınırını en çok Rus vatandaşları geçti.
3. çeyrekte milli sınırı 7 180 916 kez (Giriş+Çıkış) geçildi. Bu rakamın %24'ü Gürcü vatandaşları, %76'sı ise yabancı uyruklu vatandaşları oluşturdu.
Bununla birlikte, İçişleri Bakanlığı verilerine göre, Temmuz-Eylül aylarında yabancı uyruklu vatandaşların 2 689 306 girişi ve 2 734 526 çıkışı kaydedildi. Raporlama döneminde Rus vatandaşları tarafından 766 278 giriş ve 780 514 çıkış kaydedilmiştir.
Rusya'yı 551 107 giriş ve 553 600 çıkış ile Türkiye takip ediyor, Ermenistan ise 451 809 giriş ve 452 562 çıkış ile 3. sırada yer alıyor.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2023 წლის მე-3 კვარტალის საზღვრის კვეთის მონაცემები გამოაქვეყნა. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, ივლის-სექტემბერში საქართველოს საზღვარი ყველაზე ბევრჯერ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა გადაკვეთეს.
კერძოდ, უწყების მონაცემებით, მე-3 კვარტალში სახელმწიფო საზღვრის კვეთა 7 180 916- ჯერ (შემოსვლა+გასვლა) განხორციელდა. აქედან 24% მოდიოდა საქართველოს, ხოლო 76% უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.
ამასთან, შს სამინისტროს ცნობით, ივლის-სექტემბერში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან 2 689 306 შემოსვლა და 2 734 526 გასვლა დაფიქსირდა. საანგარიშო პერიოდში რუსეთის მოქალაქეების მხრიდან დაფიქსირდა 766 278 შემოსვლა და 780 514 გასვლა.
მას მოსდევს თურქეთი - 551 107 შემოსვლითა და 553 600 გასვლით, მე-3 ადგილზე კი სომხეთია, საიდანაც 451 809 მოქალაქის შემოსვლისა და 452 562 მოქალაქის გასვლის ფაქტი დაფიქსირდა.

## Gürcistan’ın Ana İhracat Pazarları Sıralaması

## საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნების რეიტინგი



2023’ün 9 ayında Gürcistan’dan yurtdışına bir önceki seneye göre %12.7 artışla 4.6 milyar dolarlık mal ihracatı gerçekleşti.

Bakır cevherleri ihracatının 315 milyon dolar ve demir alaşımları ihracatının 291 milyon dolar azalmasına rağmen ihracatın artmasının temel nedeni halihazırda 1.56 milyar dolar oluşturan (Büyüme 972 milyon dolar) hafif araçların yeniden ihracındaki artıştır.

Şarap, alkollü içecekler, elektrik enerjisi, maden suyu ve diğer malların ihracatında büyüme kaydedilmiştir.

**Gürcistan’ın İlk 10 İhracat Pazarı Sıralaması Aşağıdaki Gibidir:**

- Azerbaycan- 632 milyon dolar, geçen seneye göre büyüme %29.5
- Ermenistan- 525.7 milyon dolar, geçen seneye göre büyüme %64.4
- Rusya- 511.7 milyon dolar, geçen seneye göre büyüme %10
- Kazakistan- 503 milyon dolar, geçen seneye göre büyüme %230
- Kırgızistan- 494 milyon dolar, geçen seneye göre büyüme %897
- Türkiye- 334 milyon dolar, geçen seneye göre düşüş %-5
- Çin- 267 milyon dolar, geçen seneye göre düşüş %-53.5
- Bulgaristan- 212 milyon dolar, geçen seneye göre düşüş %-28
- Uzbekistan- 77 milyon dolar, geçen seneye göre düşüş %-9.4
- Ukrayna- 74 milyon dolar, geçen seneye göre düşüş %-63

Orta Asya ülkelerine ihracattaki artışın temel nedeni hafif araçların yeniden ihracatındaki hareketliliktir.

Çin’e yapılan ihracattaki düşüş ise bakır cevherleri ve konsantreleri ihracatının azalmasına ilişkin.

Toplamda Gürcistan’dan ihraç edilen malların %64.4’ü Bağımsız Devletler Topluluğu ülkelerine, %12.3’ü Avrupa Birliği’ne, %23.3’ü ise diğer ülkelere ihraç ediliyor.

2023 წლის 9 თვეში საქართველოდან უცხოეთში 4.6 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი გავიდა ექსპორტზე, რაც წინა წელთან შედარებით 12.7%-ით მეტია.

ექსპორტის ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატებაა, რამაც უკვე 1.56 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა $972 მლნ), თუმცა შემცირებულია სპილენძის მადნების ექსპორტი $315 მლნ-ით და ფეროშენადნობების ექსპორტი $291 მილიონით.
ზრდა აღინიშნება ღვინის, სპირტიანი სასმელების, ელექტროენერგიის, მინერალური წყლების და სხვა საქონელის ექსპორტში.

**საქართველოს 10 მთავარი საექსპორტო ქვეყნის რეიტინგი:**

- აზერბაიჯანი - $632 მილიონი, ზრდა წინა წელთან 29.5%
- სომხეთი - $525.7 მილიონი, ზრდა წინა წელთან 64.4%
- რუსეთი - $511.7 მილიონი, ზრდა წინა წელთან 10%
- ყაზახეთი - $503 მილიონი, ზრდა წინა წელთან 230%
- ყირგიზეთი - $494 მილიონი, ზრდა წინა წელთან 897%
- თურქეთი - $334 მილიონი, კლება წინა წელთან -5%
- ჩინეთი - $267 მილიონი, კლება წინა წელთან -53.5%
- ბულგარეთი - $212 მილიონი, კლება წინა წელთან -28%
- უზბეკეთი - $77 მილიონი, ზრდა წინა წელთან 9.4%
- უკრაინა - $74 მილიონი, კლება წინა წელთან -63%

ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ექსპორტის მატების მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის ბუმია.
ჩინეთში ექსპორტის შემცირება კი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის კლებას უკავშირდება.
მთლიანობაში საქართველოს ექსპორტის 64.4% დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე მოდის, 12.3% ევროკავშირზე, 23.3% კი სხვა ქვეყნებზე.

## 2022'de Gürcistan'da En Çok Kişiyi İstihdam Eden 10 Şirket

## 10 კომპანია, რომელიც 2022 წელს საქართველოში ყველაზე მეტ ადამიანს ასაქმებდა



2022'de Gürcistan'da iş sektöründe istihdam edilen kişilerin ortalama sayısı 2021 seneki rakama göre %4.7 daha fazla olan 779.4 bin olarak belirlendi. Tüm istihdam edilenlerin %43.1'i kadın, %56.9'u ise erkek.

Bununla birlikte, Geostat'ın verilerine göre, istihdam edilenlerin %39.9'u büyük işletmelerde, %20.3'ü orta ölçekli firmalarda, geri kalan %39.8'i ise küçük ölçekli firmalarda çalışmakta.

İstihdam edilenlerin toplam sayısı 762.2 bin kişi olarak belirlendi (Geçen seneye kıyasla %5.5 daha fazla).

**2022 Yılında Çalışanların Sayısına Göre İş Sektörünün En Büyük 10 Şirketin Sıralaması Aşağıdaki Gibidir:**

- A.Ş. Gepha
- A.Ş. Gürcistan Demiryolu
- LLC PSP Pharma
- A.Ş. ENERGO-PRO Georgia
- LLC Evolution Georgia
- LLC Retail Group Georgia
- LLC Tbilisi Transport Company
- A.Ş. Nikora Trade
- A.Ş. Vian (Evex Hospitals)

საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს 779.4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 4.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.1 პროცენტი ქალია, ხოლო 56.9 პროცენტი - კაცი.

ამასთან, საქსტატის მონაცემებით, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.9 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.3 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 39.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ კი 726.2 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით - 5.5 პროცენტით მეტი).

**გთავაზობთ ჩამონათვალს, ვის ეკუთვნის ბიზნეს სექტორის Top-10 საწარმო 2022 წლის დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით:**

- **სს გეფა**
- **სს საქართველოს რკინიგზა**
- **შპს პსპ ფარმა**
- **შპს თბილსერვის ჯგუფი**
- **სს ენერგო - პრო ჯორჯია**
- **შპს ევოლუშენ ჯორჯია**
- **შპს რითეილ გრუფ ჯორჯია**
- **შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია**
- **სს ნიკორა ტრეიდი**
- **სს ვიანი (ევექსის ჰოსპიტლები)**



## Kutaisi'de Dolu Önleme Ağı Üretimine Başlandı

## ქუთაისში სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების წარმოება ამოქმედდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Eylül Ayında Tiflis'te Kira Fiyatlarına %35 Zam Geldi

სექტემბერში თბილისში ქირის ფასი 35%-ით გაიზარდა





2023'ün Eylül Ayında Yabancılar Tarafından Yapılan Gayrinakdi İşlemlerin Sayısı %35 Arttı

2023 წლის სექტემბერში უცხოელების უნაღდო დანახარჯები 35%-ით გაიზარდა

Eylül Ayında Gürcistan'da Otel Fiyatları Düştü

სექტემბერში საქართველოში სასტუმროების ფასი შემცირდა



## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6958 TRY/GEL – 0.0962 EUR/GEL – 2.8540 GBP/GEL – 3.2689

USD/GEL
16 - 23 Ekim 2023




USD/TR
16 - 23 Ekim 2023




TRY/GEL
16 - 23 Ekim 2023




BTC – 30 . 494 66
16 - 23 Ekim 2023

